ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 153

"27" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში , უსახელო მოედნისთვის ბერი გაბრიელ სალოსის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, დიმიტრი გულიას ხიდთან და რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩასთან არსებულ უსახელო მოედანს მიენიჭოს ბერი გაბრიელ სალოსის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6)

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის
მოედანი